ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს, ა(ა)იპ „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია“-სა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის

05.10.2020

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო (ს/კ:205382398; შემდგომში - „სააგენტო“) წარმოდგენილი ხელმძღვანელის - რევაზ ჩარკვიანის (პ/ნ:01008007549) სახით; (ს/კ: 249269198; შემდგომში - „APD”), წარმოდგენილი დირექტორის - მანანა სართანიას (პ/ნ: 62004013690) სახით და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - „მერია“) წარმოდგენელი მუნიციპალიტეტის მერის - გოჩა კურდღელიას (პ/ნ42001005705) სახით, ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“, გამოხატავენ რა ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და ერთმანეთის მიმართ პატივისცემას, საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი:

1.1. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 2 აპრილის N553 განკარგულებით დამტკიცებული - ,,საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ ფარგლებში, ერთობლივი პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა;

1.2. სააგენტოს ახალგაზრდული პოლიტიკის (შემდგომში - პოლიტიკა) განვითარების პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა;

1.3. ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

- პოლიტიკას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ განსაზღვრული ხედვა, მიზნები და მათი მიღწევის გზები. ყველა დაინტერესებული მხარე უნდა იყოს ჩართული მათ შემუშავებაში და ყველასთვის ნათელი უნდა იყოს, რის მიღწევას ცდილობს პოლიტიკა და რა მეთოდებით;
- ახალგაზრდობის საკითხები უნდა იყოს პრიორიტეტი, რაც უნდა გამოიხატებოდეს სათანადო ყურადღების დათმობაში;
- საჭირო რესურსები, მათ შორის ფინანსური, უნდა გამოიყოს ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვისთვის, განხორციელებისთვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის;
- ახალგაზრდები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ პოლიტიკის განვითარების ყველა ეტაპზე - დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს ახალგაზრდულ საქმიანობას;

- ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული უნდა იყოს პოლიტიკის განვითარების პროცესში;
- პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროს: განათლება, დასაქმება, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, კულტურა, სპროტი და სხვ.;
- პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს სარწმუნო მტკიცებულებებს. მათი მოპოვება უნდა ხდებოდეს სათანადო მეთოდების (კვლევა, ფოკუს-ჯგუფები, მონაცემების შეგროვება, გამოკითხვა, ინტერვიუ, ექსპერტული აზრის კვლევა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და სხვ.) გამოყენებით, რომლებიც უნდა შეირჩეს საჭიროებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე;
- ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ყველა ეტაპი უნდა იყოს პროაქტიულად გამჭვირვალე და გამჭოლად უნდა უჭერდეს მხარს ახალგაზრდების ინფორმირებულობას;
- უნდა არსებობდეს პოლიტიკის განვითარებაზე პასუხისმგებელი უწყება;
- პოლიტიკა უნდა იყოს ოფიციალურად აღიარებული და არსებობდეს მისი მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი მექანიზმები;
- რეგულარულად უნდა ხდებოდეს ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებში ჩართული მუნიციპალიტეტის თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

2.1. სააგენტო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს:

- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი თანამშრომლებისთვის საგანამანთლებლო პროგრამის შექმნა;
- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებათა კვლევის ჩატარება;
- მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში მხარდაჭერა;
- კონსულტაციისა და საექსპერტო მომსახურების გაწევა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ყველა ეტაპზე;
- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში საპილოტე პროექტების განხორციელება.

2.2. ა(ა)იპ „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია“ (APD) იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს:

- ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებელი მინიმუმ 2 თანამშრომლის გადამზადება;
- მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაში მხარდაჭერა;
- კონსულტაციისა და საექსპერტო მომსახურების გაწევა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ყველა ეტაპზე;
- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში საპილოტე პროექტების განხორციელება.

2.3. მერია იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს:

- მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება და ამ მიზნით, პასუხისმგებელი თანამშრომლების შერჩევა და სექტორული სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტება (მუნიციპალური სამსახურები, ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი, კერძო სექტორი, ახალგაზრდები და სხვა);

- მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარებაში;
- მხარდაჭერა ახალგაზრდების საჭიროებათა კვლევის ჩატარებაში (მაგალითად, მონაწილეთა რეკრუტირება, სივრცის გამოყოფა და სხვა);
- პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვა ყველა დაინტერესებულ მხარესთან და საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელება, მონიტორინგიდა შეფასება.

2.3. მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს;

2.4. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებებთან და აქტივობებთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებებისა და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2.5. დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე პუნქტის შეცვლა, უარყოფა ან გაუქმება მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

2.6. ნებისმიერ დროს ამ მემორანდუმის რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად მიჩნევა, გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალაზე ან/და კანონიერებაზე.

მუხლი 3. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. აღნიშნული ფორმდება წერილობითი ფორმით, წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. სხვა დებულებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელმოწერიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

4.2. მემორანდუმის მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მემორანდუმის მოქმედება ვადაზე ადრე წყდება მეორე მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდეგ.

4.3 წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4.4 მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

მუხლი 5. მხარეთა ხელმოწერები:

სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო

საიდ. კოდი: 205382398

მის: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. N76ბ

რევაზ ჩარკვიანი

(ხელმძღვანელი)

ა(ა)იპ „კავშირი მშვიდობისა და განვითარების აკადემია“

საიდ. კოდი: 249269198

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45, სართ. N4

მანანა სართანია

(დირექტორი)

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N12

გოჩა კურდღელია

(მუნიციპალიტეტის მერი)